# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ-დღიური გამოცემა.—სამშაბათი, 3 ოქტომბერი 1900 წ. № 1256

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
|---|---|
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
|---|---|
| ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა. | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ., მეოთხეზე—5 კ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.


კვირას, 15 ოქტომბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, დილის 11 საათზე, მოხდება **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** წევრთა **საზოგადო კრება.**

კრების საგნები: 1) ანგარიში „საზოგადოების“ წარსული წლის მოქმედებისა; 2) ანგარიში სარევიზიო კომისიისა; 3) გამგეობის მოხსენება შესახებ ქართული თეატრის შენობის იჯარით აღებისა; 4) არჩევა სარევიზიო კომისიის წევრთა; 5) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (2—2)


საუკეთესოდ

მოწყობილი

**მსწრაფლად მბეჭდავი**

# სტამბა

წიგნების გამომცემელ

ქართველთა ამხანაგობისა

იღებს ყოველგვარ

**სასტამბო საქმეებს**

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩ. მარტირუსოვის სახლში.


# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### 30 სექტემბერი

**ჰონგკონგი.** ვეიჩეოუს პროვინციის ექვსი ოლქის ქალაქები მეამბოხეთ ჩაუვარდათ ხელში. კანტონიდან გაიგზავნა დიდძალი ჯარი აჯანყებულ ოლქებში. თუ კანტონშიაც იფეთქა აჯანყებამ, ძნელი იქნება მისი მოსპობა; კანტონის ქუჩებში კვლავ არიგებენ ხალხის წამქეზებელ პროკლამაციებს. მეამბოხეები შეუშინდნენ მთავრობის ჯარებს და დაიწიეს კაულუნის ჩრდილოეთით; მაგრამ იმასაც იტყობინებიან, რომ ორშაბათს აჯანყებულებმა ტყვედ წაიყვანეს 30 ჩინელი ჯარის კაცი და ყველას თავები მოჰკვეთეს.

**ეკატერინოსლავი.** ნოვო-ივანოვის სასოფლო სამმართველოში, როგორც სჩანს უტყუარ ცნობებიდან, ავაზაკთ მოუკლავთ ცხრა სული: მწერალი, მისი ცოლი, სამი წლის ვაჟიშვილი, მწერლის სამი თანაშემწე, მცველი, გზირი და მოსამსახურე ქალი; გარდა ამისა მწერლის ექვსიწლის ქალისთვის თავი გაუტეხიათ, ასე რომ ბავშვის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. თავდასხმა ღამით მოხდა. სამმართველოს კასსიდან ბოროტ-გამზრახველთ 1050 მან. წაუღიათ. ამბობენ, რომ იმავე ავაზაკებმა ამ ცოტა ხანში ხარკოვის გუბერნიაში გაძარცვეს 7 სასოფლო სამმართველო და მოჰკლეს 14 კაცი. ნოვო-ივანოვკაში მივიდნენ პროკურორი, გამომძიებელი და ხარკოვის პოლიციის მოხელენი.

**ლონდონი.** დილის გაზეთებში დაბეჭდილია შანჰაიდან მოსული დეპეშა, რომლითაც იუწყებიან, რომ იაპონიის იმპერატორს თავის პასუხში ჩინეთის იმპერატორისათვის მიუწერია, რომ არეულობის მიზეზნი მხოლოდ ჩინეთის იმპერატორის ფანატიკოსი-მრჩეველნი არიანო.

**ტიან-ძინი.** პეკინში 25 სექტემბერს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების სხდომაზე ინგლისის ელჩმა ლაპარაკი აღძრა სამის მუხლის შესახებ, რომელნიც მოყვანილნი არიან გერმანიის ცირკულიარულს ნოტაში, 20 სექტემბერს გამოქვეყნებულში. პირველი მუხლის შესახებ, რომლითაც გერმანია ჰკითხულობს—სავსეა თუ არა ჩინეთის იმპერატორის ბრძანებაში მოყვანილი დამნაშავეთა სია, ელჩმა სთქვა, რომ ორი დამნაშავე აკლიაო—ტუნფუსიანი და იუნხუსიანი; მეორე მუხლის შესახებ, რომლითაც გერმანიის მთავრობა ჰკითხულობს—საკმარისია თუ არა ჩინეთის იმპერატორის ბრძანებაში აღნიშნული სასჯელებიო, ელჩმა სთქვა, რომ ეს სასჯელები ვერ ჩაითვლება საკმარისადაო; მესამე მუხლის შესახებ, რომელიც შეეხება საკითხს, თუ როგორ უნდა აღვასრულებინოთ ჩინეთის მთავრობას პირობა დამნაშავეთა ნამდვილ დასჯის შესახებაო, ელჩმა სთქვა, რომ სასჯელის სისრულეში მოყვანის საქმე უცხოელთა დელეგატებს უნდა ვაკისროთო.

**შანჰაი.** იტყობინებიან, რომ ხაინანში გაჩნდა „შავი დროშების“ წინამძღოლი თავის ბრბოებითაო. ამბობენ, რომ ისინი მიდიან წინ, რათა დახმარება აღმოუჩინონ ქვრივ დედოფალსაო.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იტყობინება: „ბურებმა რამდენჯერმე სცადეს და კიდეც გააფუჭეს ზოგან რკინის გზის ლიანდაგი და ტელეგრაფი. ბურების მოუსვენრობა მით უფრო შესანიშნავია, რომ ყოველი ზარალი, რომელსაც ისინი მოგვაყენებენ ხოლმე, მაშინვე სწორდება, დამნაშავენი კი მაშინვე ისჯებიან. დევეტის ჯარი ნაწილ-ნაწილად დაიყო და მოქმედობს ვაალის ახლო. ბევრი კიდეც გაექცა დევეტს“.

### 1 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** 30 სექტემბერს ლივადიის სასახლეში ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა უფროსი ცინიტ-ხამბა ახარამბა-აგვან-დორჟიევი, რომელიც ტიბეტის დალაილამის წარმომადგენლად ჩამოვიდა რუსეთში.

**შანჰაი.** ხონანის გუბერნატორი, ძმა ჩჟილის პროვინციის გარდაცვალებულის მმართველისა, იუჩჟანი გადაყვანილ იქმნა ვუჩჟანში, რათა დაეხმაროს პროვინციის მართვა-გამგეობის საქმეში ადგილობრივს მმართველს. იუჩჟანი მოკრივეთა ცნობილი წინამძღოლია.

**პეკინი.** აქ მოსულმა შიკრიკებმა ამბავი მოიტანეს, რომ საიმპერატორო ჯარებისა და აჯანყებულთა შუა აქა-იქ დიდი ბრძოლა გაიმართაო.

**პეკინი.** უცხოელები შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ თავს არ დაესხან ჩინეთის მხედრობის იმ ჯარებს, რომელთაც ლიხუნჩანგისაგან ბრძანება მიუღიათ, რომ უცხოელთ აღარ აუტეხონ ბრძოლა.

**ტიან-ძინი.** გუშინწინ ვალდერზეემ დაათვალიერა აქ მყოფი ინგლისელი რაზმები. მისის განკარგულებით, იმ კომისიაში, რომელიც დროებით განაგებს ქალაქის მმართვის საქმეს და რომლის წევრებად არიან რუსი, ინგლისელი და იაპონელი ოფიცრები, დაინიშნა გერმანელი ოფიცერიც.

ტაკუში მივიდა ავსტრ-უნგრეთის ელჩი, რომელიც იქ დარჩება, სანამ ტიან-ძინში მისთვის შესაფერს სადგომს არ მოძებნიან.

ინგლისის ელჩი აქ მოვა ხვალ.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

≺ ლონდონის გაზეთების სიტყვით, ჩინეთის ჯარი, 8000 კაცისაგან შემდგარი, მისულა შანსის პროვინციაში და შეერთებია იმ ჯარებს, რომელნიც ქვრივ დედოფალს იცავენ. შენჩეანში კიდევ მოხდა აჯანყება. არწმუნებიან, რომ ჩინეთის მთავრობამ მოლაპარაკების გამართვით მხოლოდ დრო უნდა მოიგოს, რათა შეაგროვოს დიდძალი ჯარი და შემოსად შეაიარაღოს იგი. ყველა ის მოხელენი და პრინცები, რომელთა დასჯა ევროპაელთ აღუთქვეს, იმპერატორთან არიან და მასთან ერთად მიდიან სინანფუში. ამიტომ გერმანიის სამხედრო წრეებში ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ მოკავშირეთა ჯარმა უნდა გაილაშქროს სინანფუსაკენაო. ჯარს უნდა დაევალოს იმპერატორის განთავისუფლება იმ ელემენტებიდან, რომელნიც უცხოელთა წინააღმდეგ აქეზებენ მას.

≺ როგორც უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, ჩინეთის იმპერატორი და ქვრივი დედოფალი უკვე წავიდნენ სინანფუში. ევროპიელ გაზეთების აზრით, სინანფუ უნდა იყოს შანსის პროვინციის უმთავრესი ქალაქი, რომელიც რუქაში აღნიშნულია ხსიანფუდ. თუ ეს მართალია, მაშინ მოკავშირეთა ჯარებს ძალიან გაუჭირდებათ მეფის სახლობას ხელში ჩაგდება, რადგანაც ხსიანფუ 1,000 კილომეტრის სიშორეზეა პეკინიდგან. ყოველ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ იმპერატორი და ქვრივი დედოფალი ტაიუნფუდან სამხრეთისაკენ წავიდნენ, იმის მომასწავებელია, რომ მათ სრულიადაც განზრახვა არა აქვთ პეკინში დაბრუნდნენ; პირ-იქით პეკინს თან და თან უფრო ჰშორდებიან.

≺ ამ ხანად პეკინში შეუგროვებიათ ყველა საბუთები, რომელთაგან შემდეგი ირკვევა: 1) ჩინეთის მთავრობა ყოფილა უმთავრესი და ერთად-ერთი ხელმძღვანელი არეულობისა და ამბოხებისა უცხოელთა წინააღმდეგ. (პეკინის სასახლეში უპოვიათ დედოფლის ხელ-მოწერილი ბრძანებები); 2) ჩინეთის დედოფალს მიუწერია ჯარი საომრად მოემზადებინათ, უცხოელთა წინააღმდეგ გაეგზავნათ და განედევნათ ევროპიელნი ტაკუდან, ტიან-მინიდან, პორტ-არტურიდან, ვეი-ხაი-ვეიდან და მანჯურიიდან. 3) ჩინეთის დედოფლის ბრძანებით შემოურტყამთ ჩინეთის ჯარი საელჩოებს და აუტეხია სროლა. ყველა ეს საბუთი ამ ჟამად შეგროვილია გერმანიის საელჩოში პეკინში.

≺ შანხაიდან იტყობინებიან, რომ ცუნგ-ლი-იამენის ორივე წევრი ხსიუ-ჩინგ-ჩენგი და იუან-ჩანგი საშინლად უწამებიათ, რათა დანარჩენ წარჩინებულთათვის, რომელნიც სავსებით არ თანაუგრძნობენ ომს, შთაენერგათ შიში. სასიკვდილოდ გამზადებულ წევრებს ცუნგ-ლი-იამენისას უბრალოდ არ მოჰკვეთეს თავი, არამედ მოუსპეს სიცოცხლე საგანგებო იარაღით.

ამ იარაღით ასე აწვალებენ სასიკვდილოდ გამზადებულთ. მსხვერპლს სდებენ ქვის მაგიდაზედ, შემდეგ ჯალათი და მისი თანაშემწენი დასდებენ მას ტანზედ დიდ დანას და გადასჭრიან მსხვერპლს ორ ნაწილად. 160 წელიწადია, რაც ამ საშინელი იარაღით არავინ დაუსჯიათ. უკანასკნელად ამ იარაღით მოჰკლეს ის მასწავლებელი, რომელმაც იმპერატორ იუნგ-ჩინგის მმართველობის დროს (1723—1736 წ.) მიჰყიდა ფულით ერთ ჩინელს დიპლომი მეორე ხარისხის ლიტერატორისა. ხშირად ხმარობდნენ ამ იარაღს, როცა მანჯურიის მცხოვრებლებმა მე-XVII-ე საუკუნეში დაიპყრეს ჩინეთი და ძალა დაატანეს მცხოვრებთ გრძელი თმები ეტარებინათ.

# ახალი ამბავი

✦ ტფილისის გუბერნატორი 1 ოქტომბერს ბორჯომში წავიდა.

✦ საგანგებო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გადასინჯვა **საშუალო სასწავლებლების პროგრამმისა**, დაასრულებს მუშაობას უკვე დეკემბერში; ასე რომ შემუშავებულ პროექტს სახელმწიფო საბჭოს წარუდგენენ განსახილველად 1901 წლის დამდეგს.

✦ 23 წარსულს სექტემბერს **ტფილისის ქართველმა-ისრაელებმა** თავიანთ რაბინად ამოირჩიეს იაკობ ნავთოლიშვილი, რომლის წინააღმდეგაც იყვნენ დანარჩენი ურიები და საჩივარიც წარუდგინეს ტფილისის გუბერნატორს იმის შესახებ, რომ ქართველ-ისრაელებს არა ჰყოლოდათ თავიანთი რაბინი. ქართველმა-ურიებმა 1895 წელშივე წარუდგინეს შინაგან საქმეთა მინისტრს თხოვნა ამის შესახებ. მინისტრსა სთხოვდნენ, რომ, რადგანაც უმეტესს ჩვენგანს რუსული არ გვესმის, ჩვენთვის საჭიროა ისეთი რაბინი, რომელმაც ქართული იცოდესო. მინისტრმა შეიწყნარა ეს თხოვნა. ეხლა გუბერნიის საკრებულომ, რომელსაც ბ-ნმა გუბერნატორმა წარუდგინა რუსურიათა საჩივარი,—დაამტკიცა ნავთოლაშვილი ქართველ-ისრაელების რაბინად.

✦ საერო განათლების მინისტრს განუმარტავს, რომ **სომეხთა სასულიერო სემინარიებსა და აკადემიებში** კურს დამთავრებულთ ნება არა აქვთ მასწავლებლად იქმნენ სომხურ სამრევლო საეკლესიო სკოლებში და განთავისუფლებულ იქმნენ სამხედრო სამსახურისაგან.

✦ კავკასიის გზების სამმართველოს უფროსის თანაშემწედ დაინიშნა ინჟ. **სმირნოვი.**

✦ აღმზრდელ და მასწავლებელ ქალთა ტფილისის საზოგადოებასთან არსდება **ტეხნიკური მუზეუმი.** საზოგადოების თავმჯდომარეს კნ. მ. ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანისას გამოუწერია პარიზიდან სატეხნიკო წარმოებათა რუქები. საზოგადოებასთან არსებობს კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მუზეუმის მოწყობა და შეწირულებათა მიღება. ყველა პირველ დაწყებით სკოლებს შეუძლიათ მუქთად ისარგებლონ ამ მუზეუმით.

✦ 13 დეკემბერს სათავად-აზნაურო სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკის ტფილისის განყოფილებაში დანიშნულია **საჯარო გაჭრობა** ტფილისისა და განჯის გუბერნიების მამულებისა, რომელნიც დაგირავებულნი არიან იმ ბანკში და რომელთა პატრონთ არ შეუტანიათ სავადო გადასახადი. უნდა გაიყიდოს 98 მამული ტფილისის და 1—განჯის გუბერნიისა.

✦ თელავის მაზრის სოფ. იყალთოში მალე დაარსდება სასოფლო **ქსენონი.** ადგილობრივი ადმინისტრაცია ამ ჟამად ზრუნავს სადგომის მოძებნისათვის.

✦ სოფ. დრანდის (ქუთ. გუბ.) **ქსენონი** განზრახულია გადაიტანონ დაბა გუდაუთში.

✦ შაბათს, 30 სექტემბერს, საგანგებო კომისიამ, რომელიც შესდგებოდა ტფილისის პოლიცმეისტერისა, საგუბერნიო ინჟენერისა, ელექტრო-ტეხნიკისა და სამის ინჟენერისაგან, დაათვალიერა ახლად შეკეთებული **ქართველ თავად-აზნაურობის თეატრი.** კომისიამ შესაძლებელად დაინახა თეატრში წარმოდგენების გამართვა, თუ ცოტაოდენი ცვლილება იქმნა მოხდენილი.

✦ ოქტომბრის 1-ს, დილის 11 საათზე, ჰავჰავაძის ქუჩაზე, ტუმიანცის აბანოში **უეცრად გარდაიცვალა** ექიმი პოკროვსკი.

✦ ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შასახებ, რომ გადაიდვას საერობო თანხიდან 10,000 მანეთი **ახალ-სენაკის საპატიმროს** გადიდებისა და რემონტისათვის და აგრეთვე სადარაჯოს მომატებისათვის.

✦ ტფილისის გუბერნატორმა უარ-ჰყო თხოვნა ქალაქის თავისა იმის შესახებ, რომ მეტეხის ასავალში მოვაჭრე ბაყალთათვის მიეცათ ნება გაზაფხულამდე წინადებულად დაეწყოთ ხილი და მწვანილეული მეტეხის ქუჩაზე.

✦ 29 სექტემბერს ფოთიდან ტფილისში მატარებლით ჩამოიყვანეს ოსმალეთის ქვეშევრდომი ტოპოიანი, **კეთრით ავადმყოფი.** ავადმყოფი ფოთის პოლიცმეისტერს გამოეგზავნა ტფილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში დასაწვენად, მაგრამ, რადგან ადგილობრივ გამოარსად არ მიიღეს, ავადმყოფი, გაზ. „კავკაზ“-ის სიტყვით, უკანვე წაიყვანეს ფოთში. საშინელის სენით შეპყრობილი მატარებელში საზოგადო ვაგონში ჩასვეს სხვა მგზავრებთან ერთად!

✦ პეტერბურგის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი **საყურადღებო სტატისტიკური მასალა.** 1898 წელს რუსეთის იმპერიაში სულ 193 კერძო საზოგადოება ყოფილა, რომელთაც საგნად აქვთ სახალხო განათლების გავრცელებას შეუწყონ ხელი. ამ საზოგადოებებში 36.200 წევრი ყოფილა, 441.160 მან. ხარჯთ-აღრიცხვა ჰქონიათ და 685.077 მან. ხელუხლებელი თანხა. სულ ამ საზოგადოებათ დაუარსებიათ 601 სასწავლებელი, 37 ბიბლიოთეკა, 18 წიგნის საწყობი და მაღაზია, 6 ბიურო მასწავლებელთათვის გაკვეთილების მოსაპოვებლად, 5 ბავშების თავშესაფარი, 3 ავადმყოფ ბავშვების სანატორია დი სხვა.

✦ გორიდან „კავკაზ“-ს სწერენ: „ჩვენის მაზრის ს. ყორნისში ამას წინად რამდენიმე კაცი გახდა ავად ციმბირის **საქონლის ჭირით (ჯილეხით).** ეს სენი შეეყარა მათ ავადმყოფ ძროხისაგან. ავად გახდნენ აზნაურ ორჯონიკიძის ოჯახობა და რამდენიმე გლეხი; ერთი კიდეც გარდაიცვალა. მთელი ზაფხული თითქმის არ შეწყვეტილა საქონლის ჭირი ოსების სოფლებში, ნამეტურ გუჯაბაურში, ქვემო-ნიქოზში, ფხვენისში, მეგვრეკისში და სხვაგან. სექტემბრის 20 სთვის საქონლის ჭირი მოისპო; კარანტინები აიღეს და ბეითალები წასვლას აპირებდნენ, მაგრამ მოულოდნელად საქონლის ჭირი ისევ გაჩნდა სოფელ ერგნეთში“.

✦ ქიზიყიდან სწერენ „კვალს“: გათავდა კალოობა. მოსავალი გვარიანად მოვიდა, თუმცა წვიმიანმა ამინდებმა ლეწვის დროს ხელი შეუშალეს. დაბრუნდა ხალხი კალოობიდან (საზოგადოთ ქიზიყში კალოები მოშორებითაა), იჩინა თა-

ვი ციებ ცხელებამ და აუარებელი ხალხი მოაწყდა ქვემო-მაჩხაანის ქსენონს. დღეში 100—120 ავადმყოფი იშინჯება და ეძლევათ წამლები.

ვენახები დაიკრიფა, მაგრამ ვაი ამ დაკრეფას. ვისაც წარსულ წელს 5 საპალნე მოუვიდა, წელს 6 ჩაფს ვერ გამორჩა, ისე გამოხრა ობმა და ნაცარმა. მკითხველი იტყვის: „უწამლებდნენ და ბევრს გამორჩებოდა მევენახეო“. უბედურებაც ისაა, რომ ვერ უწამლეს. უწამლებლობის მიზეზი იყო უამინდობა და ერთი ცრუპენტელას ჩაგონება. ცრუ-პენტელამ ჩააგონა ხალხს, რომ წელს ვაზის ავადმყოფობა აღარ არის და წამალიც აღარ არის საჭიროვო. ხალხმაც მისი რჩევა-დარიგება მიიღო და მისი წყალობით ცარიელები დარჩნენ. ცრუ-პენტელას საფანელი შემოაკლდა, თვითონ ვერ უწამლა და სხვაც ზარალში ჩააგდო და ამით მოკვაგონა მელას ანდაზა: „მელამ მახეში კუდი მოაწყვიტა და სხვებსაც ურჩია: კუდები გამძიმებთ, თქვენც დაიწყვიტეთო“. ესლაა სალაპარაკო ხალხში.

თამბაქოების კრეფაც გათავდა. წლევანდელი თამბაქო წარსულ წლებთან შედარებით უკეთესი ღირსებისაა. მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, როგორც წარსულ წლებში, წელსაც ჩალის ფასად ჩაუვარდებათ ჩარჩ-ვაჭრებს ხელში, თუ მეთამბაქოეთ არა იზრუნეს-რა. მათი ზრუნვა ის იქნება, რომ მეთამბაქოეთა ამხანაგობა შედგეს და პირდაპირ ამხანაგობამსაქმე დაიჭიროსდიდ მოვაჭრეებთან. 1899 წელს იყო მეთამბაქოეთა კრება, რომელმაც გადასწყვიტა შესდგეს ამხანაგობა, მაგრამ გარდაწყვეტილება დარჩა ხმათა-მღაღადებელისა უდაბნოსა შინა. ესეც ერთი უბრალო მიზეზის გამო. ამ საქმეში ჩაერივნენ ზოგიერთი პირები, რომელთაც ნდობა დაკარგული აქვთ საზოგადოებაში და ამის გამო ყველა გულცივად მოეკიდა ამ კეთილ საქმეს.

✦ გამოვიდა და მივიღეთ „ჯეჯილის“ მეცხრე ნომერი შემდეგის შინაარსისა: 1) „ტოროლა ჩიტი“, (ლექსი) ვასიკო გუბელისა; 2) „ჩემი კაჭკაჭი“ (ამბავი) ს. ბასიშვილისა; 3) „ჩინური საათი“ (ფრანგულით) პეტრე მირიანიშვილისა; 4) „პატარა ექიმი“ (გადმოღებული) კაზ-იმერლისა; 5) „სულელი და ჭკვიანი“ (არაკი) ი. ა—სა; 6) „ვარდი და გულ-ყვითელა“ (თარგმანი) სონა ციციშვილისა; 7) „გლეხი და გველი“ (იგავი) გ. ახალციხელისა; 8) „ივანე ნათლის ნცემელი და მისი თავის მოკვეთა“ გ. წყალტუბელისა; 9) „ძველი დედა“ (ლექსი) დ. თომაშვილისა; 10) „გულცივი ადამიანი“ (მოპასანიდან) მ. კლიმიაშვილისა; 11) „სურამის ციხე“ (გადმოკეთებული) გ. წყალტუბელისა; 12) „პატარა მკითხველების წერილები“; 13) წვრილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ჩქარა გამოსათქმელი, ზმნა, ანაგრამა, უჯრების გამოცანა, შარადა, რებუსი და სხვა.

✦ ამას წინად ჩვენს გაზეთში, სახალხო თეატრის ქრონიკაში, აღნიშნული გვქონდა, რომ წარმოდგენებზე უკრავს ტფილისის სამოსწავლო ინსტიტუტის მოწაფეთა სამუსიკო ორკესტრიო. როგორც გვატყობინებენ, ორკესტრში მოწაფენი არ ყოფილან, არამედ კურსდამთავრებულნიო.

## სალამოს დეპეშები

**2 ოქტომბერი**

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული, დიდი მთავარი კირილე ვლადიმერის ძე და დიდი მთავრინა ელენე ვლადიმერის ასული პირველ ოქტომბერს საზღვარ-გარედ წავიდნენ.

**მიტავა.** კურლიანდიის ყველა მართ-მადიდებელ ეკკლესიებში სიდღესასწაულო პარაკლისი იქმნა გარდახდილი ეპარქიის 50 წლის არსებობის აღსანიშნელად.

**მოსკოვი** საქალაქო მანეჟში გაიხსნა ცხენების გამოფენა.

**სევასტოპოლი**. აქ მოვიდა ბერძენთა დედოფალი თავის შვილი ქრისტეფორეთი და აქედან წავიდა იალტაში.

აქ ჩამოვიდა ჩინეთის საელჩო, რომელიც შესდგება ელჩისა და სამის მდივნისაგან; ელჩი ლივადიაში მიდის.

**ლონდონი**. ლიხუნჩანგი მივიდა პეკინში.

**შანჰაი.** ტიან-ძინში მოკავშირეთა ჯარის-კაცთა შორის მძვინვარებს მუცელა.

ამბობენ, რომ ვალდერზე, რამდენიმე დღის შემდეგ გადაიტანს თავის უმთავრესს შტაბს პეკინში.

**პეკინი**. მოკავშირეთა ჯარების გენერლებს თათბირი ჰქონდათ და კიდეც შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ დაარსდეს ქალაქში საერთო საპოლიციო დაწესებულება. მალე გამოიცემა პროკლამაცია, რომლით მცხოვრებთ ნება მიეცემათ მმართველთა დაუკითხავად ქალაქიდან გასვლის და უკან დაბრუნებისა.

რობერტ ჰარტი ამზადებს პროკლამაციას, რომლითაც სოფლელებს ურჩევს ჩამოიტანონ ხოლმე ჭირნახული ქალაქში; ჰარტი ჰპირდება მათ მფარველობას.

**ტიან ძინი** პაოტინფუსაკენ გალაშქრებული ჯარი ორ ნაწილად იყოფა. ერთი, რომელიც შესდგება გერმანელთა, ფრანგთა და იტალიელთაგან, მიდის პირდაპირ პაოტიჩფუზედ; მას მთავარ-სარდლობს გენერალი ბაიიო; მეორე, რომელიც შესდგება 2,000 ინგლისელთაგან, კემპბალის წინამძღოლობით მიდის სამხრეთისაკენ, სადაც, როგორც ჰფიქრობენ, მრავალი სოფელია „დიდი მუშტის“ მომხრე მცხოვრებთა.

**შანჰაი**. მეფის ოჯახის წასვლა სინანფუში გადაიდვა, რადგანაც შანსის პროვინციაში მაჰმადიანთა აჯანყებამ იფეთქა.

**პეტერბურგის ბირჟა 29 სექტემბ.**

| | მყიდველი | გამყიდველი | გარიგება |
|---|---|---|---|
| 4% სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | $96^{1}/_{8}$ |
| $4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | $99^{1}/_{2}$ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | $96^{7}/_{8}$ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | $333^{3}/_{4}$ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 282 |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | $214^{3}/_{4}$ |
| $3^{1}/_{2}$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | — | $87^{3}/_{4}$ |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | $95^{1}/_{2}$ | — |
| $4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | $85^{1}/_{2}$ |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | $101^{1}/_{2}$ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | $96^{1}/_{2}$ | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | — | — |
| $4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . | — | — | 85 |

**დრ. რედ. ალ. ჯაბადარი**

## გამოსადეგი ცნობანი

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. — კ. | | № 4—6 მ 75 კ. | |
| № 1—8 » 25 » | | № 5—6 » 50 » | |
| № 2—7 » 75 » | | № 6—6 » — » | |
| № 3—7 » 25 » | | № 7—5 » 75 » | |

სიმინდი (ნოვოროსიისკში) 1 ფ. 54—41 კ. ქერი—როსტოვში 53 კ. 53 კ.-მდე, ნოვოროსიისკში 54 კ. 55 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.
შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 90 კ.
„ ფშხვნილი „ 5 „ »

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. გაუსუფ. 6 მ. 20 კ. 8მ. 20 კ., მატყლი 10% მაგ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 45 კ.—4 მ. 15 კ., გარეცხილი—მ. 8 მ. კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო—მ. — კ.-მდე.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**ჩუღურეთისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, გორონცოვის ქუჩა, სახლი იელიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის. უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და გეუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიან [illegible].

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი [illegible]ქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1 ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.**

სწრაფი მატარებელი № 2 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

საფოსტო მატარებელი № 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

საფოსტო მატარებელი № 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

სახალხო მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

სახალხო მატარებელი № 6 ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამას 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ., სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

სააგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

სააგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10. წ. საღ.; შორაპანში დი სღამ. 1 ს.

სააგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.


# განცხადებანი

ისტორიული ნარკვევი
ანუ
ქრისტიანობამდე საქართველოს ისტორიისათვის
შედგენილი
ალექსანდრე ჩეჩენისაგან
მოწონებულია ქუთაისის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან
საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის
ფასი 1 მ. 50 კაპ.
იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

წარსული წლების ჟურნალი
**მოამბე**
გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ.წ.—შვიდ შვიდ მან., 1896, 1897 და 1898 წ.წ.—ხუთ-ხუთ მან, ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის-მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.—ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნალის „მოამბის“ ფოსტის ხარჯად 60 კაპეიკი უნდა გამოგზავნონ.—ჟურნალის
**მოამბის**
ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журн. „Моамбе“
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობის გამოც. წიგნები
იყიდება კიოსკ-ში — ქვაშვეთის პირდაპირ.

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის
## გამგეობისაგან.
წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვალტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლით და მახვილით | «—80 |
| დასტურლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში იყიდება
## გლეხი-კაცის ისტორია,
ერკმან-შატრიანისა:
**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I | საერო კრება | 60 კ. |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III და ნაწილი IV | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| | ბრწყინდები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| | იუდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**


გამომც. გ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Октября 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განჭის დიდი ქუჩა, № 27.